პირველადი დილერების სამუშაო ჯგუფის

ოქმი N1

ქ. თბილისი 2022 წლის 28 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდა:

მირზა გელაშვილი	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე
ირაკლი კაჭარავა	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
გიორგი ლალიაშვილი	საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის უფროსი
მამუკა მაჩაიძე	საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების განყოფილების უფროსი
კახაბერ დავითაია	სს „საქართველოს ბანკის“ ხაზინის უფროსი
პაატა მახარაძე	სს „თიბისი ბანკის“ ხაზინისა და ფინანსური სერვისების დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მაქაცარია	სს „ბაზისბანკის“ სახაზინო დეპარტამენტის უფროსი
გიორგი ელოშვილი	სს „ლიბერთი ბანკის“ ხაზინის დეპარტამენტის უფროსი
თამარ კვანტალიანი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვალის მართვის დეპარტამენტის ფასიანი ქაღალდების სამმართველოს პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი

I. სხდომაზე განხილული საკითხ(ებ)ი:

1. 2 წლიანი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების დამატება პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში.

2. 2018 წლის იანვარში გამოშვებული 10 წლიანი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციების (GETC28118049) დამატება პირველადი დილერების საპილოტე პროგრამაში.

3. ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე, სავაჭრო სესიის დროს - 15:00 სთ-დან 16:30 სთ-მდე, აქტიურ და არააქტიურ შერჩეულ ბენჩმარკ ობლიგაციებზე პირველადი დილერების მიერ გამოქვეყნებული ყიდვა-გაყიდვის ფასებისთვის ტრანზაქციის ავტომატურად განხორციელების ფუნქციის (Firm Quote) ჩართვა.

II. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება

სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოებაზე და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ:

1. 2022 წლის 1 ნოემბრიდან, ამ თარიღისთვის „აქტიური" 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები და მის შემდგომ გამოშვებული ნებისმიერი ახალი 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები განისაზღვროს პირველადი დილერების საპილოტე პროგრამისთვის შერჩეულ სახაზინო ობლიგაციად.
2. 2023 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის იანვარში გამოშვებული 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები - GETC28118049 - განისაზღვროს შერჩეულ სახაზინო ობლიგაციად. აღნიშნული ობლიგაცია მოიაზრება JP Morgan GBI-EM ინდექსში ჩასართავად.

შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი დილერების საპილოტე პროგრამისთვის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.1. ამ მემორანდუმის თანახმად, შერჩეული ბენჩმარკ ობლიგაცია იქნება 2020 წლის 1 ნოემბრის შემდგომ გამოშვებული 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციები, 2022 წლის 1 ნოემბრიდან, ამ თარიღისთვის „აქტიური" 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები და მის შემდგომ გამოშვებული ნებისმიერი ახალი 2 წლიანი სახაზინო ობლიგაციები, და 2023 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის იანვარში გამოშვებული 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციები."

3. 2022 წლის 1 ნოემბრიდან ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე, სავაჭრო სესიის დროს - 15:00 სთ-დან 16:30 სთ-მდე, აქტიურ და არააქტიურ შერჩეულ ბენჩმარკ ობლიგაციებზე პირველადი დილერების მიერ გამოქვეყნებული ყიდვა-გაყიდვის ფასებისთვის გააქტიურდეს ტრანზაქციის ავტომატურად განხორციელების ფუნქცია (Firm Quote).

მირზა გელაშვილი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გიორგი ლალიაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკი

კახაბერ დავითაია
სს „საქართველოს ბანკი“

პაატა მახარაძე
სს „თიბისი ბანკი“

გიორგი მაქაცარია
სს „ბაზისბანკი“

გიორგი ელოშვილი
სს „ლიბერთი ბანკი“

საოქმო ჩანაწერი აწარმოა: თამარ კვანტალიანი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო